№ 22 მთავრობისთანამგზ ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 20 მან. კვირა, იანვარს 30 1921 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—84

მორიგი გაწვევა

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ

1900 წელში დაბადებულ სავალდებულო პირთა ჯარში გამოწვევა და მიმღები კომისიის შეუდგება თავის მოქმედებას

ქ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან განსაკუთრებულ შენობაში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა) ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 9 საათიდან. ამიტომ 6 და 7 თებერვალს, კვირას და ორშაბათს უნდა გამოცხადდნენ ჯარში გასაწვევნი ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წელში და შეტანილნი არიან 1, 2 და 3 კომისარიატების გამწვევ სიებში.

8 და 9 თებერვალს, სამშაბათს და ოთხშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი მე 4, 5, 6 და 7 კომისარიატების გამწვევ სიებში.

10 და 11 თებერვალს, ხუთშაბათს და პარასკევს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი მე 8, 9 და 10 კომისარიატების სიებში.

12 და 13 თებერვალს, შაბათს და კვირას, უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი მე 11, 12 და 13 კომისარიატების სიებში.

14 თებერვალს, ორშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი

1899 წ. და წარსულ 1919 წ.

ქ. ტფილისის მიმღებ კომისიის მიერ გადადებით ჯარში მიღების ვადა

ერთის წლით, როგორც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთ ან ჯანმრთელობის სისუსტისა გამო.

15 თებერვალს, სამშაბათს,

უნდა გამოცხადდნენ ის ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრები ახალგასაწვევი პირნი,—რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წ. და რაიმე მიზეზისა გამო არ არიან ჯერ შეტანილნი გამწვევ სიებში და აგრეთვე ქ. ტფილისში დროებით მცხოვრებნი ის პირნი, რომლებიც თუმცა არიან შეტანილნი სხვა მაზრების გამწვევ სიებში. მაგრამ მათ, თანახმად გენერალურ შტაბის განკარგულებისა, არა უგვიანეს ა. წ. 10 იანვრისა ტფილისის სამხედრო ნაწილის განყოფილებაში წერილობით განაცხადეს თავისი სურვილი ტფილისის მიმღებ კომისიაში გამოცხადებისა და ამ ვადაზე წარადგინეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევ სიისა და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა უეჭველად ზემოაღნიშნულ ვადების მიხედვით, გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში და თან იქონიოს გასაწვევი უწყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზედ სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ 21 წლის შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყონებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადიდებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში.

3. არავითარ სამსახურში,

არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებებში, არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში

არ მიიღებიან ახალგაწვეული მოქალაქეთ

ჯარში გაწვევისგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ ევალებათ დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალგაწვეულთ.

4. ყველა ახალგაწვეული მოქალაქე მოვალეა დაუყონებლივ მოაწესრიგოს თავისი კერძო, შინაური და სამსახურის საქმეები, ვინაიდან იგი დანიშნულ დროს კომისიაში გამოცხადების და შემოწმების შემდეგ გაიგზავნება საკრებ პუნქტიდან პირდაპირ ჯარის ნაწილში და არავითარი პირადი ან წერილობითი განმარტება არ იქნება მიღებული მხედველობაში.

5. თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 25 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა,

შესახებ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა ნათესავი იქნეს, დამნაშავენი დაისჯებიან იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დეკრეტის 1, 2 და 3 მუხლებში.

თბილისის ქალაქის გამგეობა.

26 იანვარი 1921 წ.
ქ. ტფილისი.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.
კვირას 30 იანვარს

„ბოჰემა“

ორშაბათს 31 იანვარს „დონ-ჟუანი“. სამშაბათს 1 თებერვალს „ლალატი“ ოთხშაბათს 2 თებერვალს სიმფონიური კონცერტი“, ზილიგერის მონაწილ.
დასაწყისი 8 საათზე. 6 1—1

გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 26 სექტემბრის 1920 წ.

დადგენილებისა და ბატონ ფინანსთა მინისტრის ნებართვისა

ბანკი ადიდებს ძირითადი თანხას 3 000 000 მანეთიდან 10 000.000 მანეთამდე 7.000 მეორე გამოცემის აქციების საშუალებით.

შემდეგის პირობებით:

1. ძველ აქციონერებისთვის თითო აქცია ღირება 1.000 მან.
2. უპირატესობა გამოსაცემ აქციათა შეძენაში ეკუთვნის ძველი აქციათა შემძენს. ძველ აქციის პატრონს ნება ეძლევა თითო ძველი აქციაზე მიიღოს სამი ახალი აქცია. ხოლო ვადების შემდეგ დარჩენილი აქციები გაიყიდება გარეშეთა შორის.
3. გარეშეთათვის თითო აქცია ღირება 1 000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 1 აქციაზე 100 მან.
4. აქციაზე ხელის მოწერა დაიწყება 1921 წ. 17 იანვრიდან და გაგრძელდება ამავე წლის 28 თებერვლამდე და ამ დროში ფულები სრულებით შემოტანილ უნდა იქმნას ქ. ლანჩხუთში გურიის სავაჭრო ბანკში,

გურიის სავაჭრო ბანკის გამგეობა.
26 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებისა.

25 იანვარი, 1921 წ., № 34.

თანახმად თხოვნისა, დათხოვნილ იქმნას მესხეთ ჯავახეთის სამომრიგებლო ოლქის ახალქალაქის უბნის მომრიგებელი მოსამართლე მიხეილ ნიკოლოზის ძე მიხაილოვი მომრ. მოსამართლის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან 1921 წლის 22 იანვრიდან.

სენატის თავმჯდომარის მაგიერ
გრ. გველესიანი.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა,

22 იანვარი, 1921 წ., № 7.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა ქიათურის ხაზინის 1-ლი ხარისხის ბუხჰალტერი ვლადიმერ ურიდია 1920 წლის ოქტომბრის 10-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ქ. კანდელაკი.

—

საქციზო სამმართველოს უფროსისა.

18 იანვარი, 1921 წ., № 4.

დაინიშნა: თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად ქ. ზუგდიდში ნიკო პეტრეს ძე ხორავა ამა წლის 16 იანვრიდან.

21 იანვარი, 1921 წ., № 5.

დათხოვნილია: სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა ქ. ტფილისის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი გიორგი დიმიტრის ძე ტატიშვილი 1921 წ. იანვრის 20-დან.

№ 6.

დაინიშნა: ქ. ტფილისის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად საქციზო სამმართველოს საქმის მწარმოებელი ზაქარია ალექსის ძე დავითაშვილი 1921 წ. იანვრის 20-დან.

საქციზო სამმართველოს უფროსი **ხვ. ბაქრაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა 24 იანვარს 1921 წ. სამაზრო ერობათა გამგეობას მიმართა შემდეგი ცირკულიარით: როგორც სამხედრო სამინისტრო იტყობინება მიუხედავათ ჯარის ნაწილების ადგილობრივ თვითმართველობებისადმი მიმართვისა დეზერტირების მიერ გატაცებულ სახაზინო ნივთების უკან დაბრუნების ან მათი ფასის ანაზღაურების შესახებ, თვითმართველობები არამც თუ არ იღებენ შესაფერს ზომებს, არამედ უმეტეს შემთხვევაში უპასუხოთაც კი სტოვებენ ასეთ მიმართვებს ვინაიდან სახელმწიფო ქონების ასეთ გაფლანგვის უყურადღებოთ დატოვება ყოვლად დაუშვებელია სახელმწიფო თვალსაზრისით, გთხოვთ მიიღოთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები, რათა შემდეგში ყველა გატაცებული სახაზინო ნივთები ჩამოერთვას დამნაშავეთ ან გადახდეთ მათ სრული ღირებულება საკუთარ ქონებიდან. უკანასკნელ შემთხვევაში გადახდილი ნივთების საფასური უნდა ეგზავნებოდეს ფოსტით ცნობის მიმწოდებელ ჯარის ნაწილების (სასამართლოებს) ფულის ხაზინაში შესატანათ სამხედრო სამინისტროს მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის § 1, მუხ. 2-ის კრედიტის აღსადგენათ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ 24 იანვარს 1921 წ. შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა სამაზრო ერობათა გამგეობებს და ტფილისის ქალაქის გამგეობას. როგორც გენერალური შტაბი იტყობინება ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ არ არის მიღებული არავითარი ზომები 1919 წ. 15 ოქტომბრის 197 №-ით შინაგან საქმეთა და სამხედრო

უწყებათა მ მართებელ ნების შესასრულებლათ და განსაკუთრებით კი იმ მუხლის მიხედვით, მათ ყველებათ მიმდევ პუნქტებზე გამოცხადებულ ახალგაზრდათა გადასაგზავნათ სამხედრო ოლქის უფროსისათვის საჭირო ბადრაგის მიცემა ვინაიდან—საქმის დიდ მნიშვნელობის გამო მისი შემდეგში უყურადღებოთ დატოვება ყოვლად დაუშვებელია სამხედრო მიზნისათვის განსაკუთრებით კი იმ ქამათ, როდესაც ჯარის ნაწილებს ფრონტზე გაგზავნის გამო სამხედრო უწყება იძულებულია დააბრუნოს თავის ნაწილებში ის ჯგუფები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ საბადრაგოთ ოლქის უფროსის განკარგულებაში, კანცელარია გთხოვთ მიიღოთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები, რათა მომავალ მორიგ გაწვევის დროს სისწორით იქმნას შესრულებული 197 №-ით ბრძანების მოთხოვნილება, როგორც ახალ გაწვეულთა და სამხედრო ვალდებულობის მიღება დაბინავება-გამოკვებამის ისე საჭირო ბადრაგის მიცემის მხრივ.

საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.

ლონდონი 23 იანვ. თანახმად კონფერენციის დადგენილებისა იცნონ საქართველო იმ შემთხვევაში თუ უკანასკნელი ამის შესახებ სათანადო ფორმალურ მოთხოვნილებას წარადგენს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმართა უმაღლეს საბჭოს ოფიციალურ თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ცნობის შესახებ.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები).

ბოლშევიკური ტაქტიკისათვის.

„ეკო დე პარი" იუწყება: ელზასის სოციალისტურმა პარტიამ დაადგინა გარიცხოს თავის შემადგენლობიდან ყველა ის წევრები, რომლებიც ბოლშევიზმის ტაქტიკას იწონებენ. პარიზის პრესა იუწყება იმ სერიოზულ უთანხმოებების შესახებ, რომელიც გაზ. „ჰუმანიტეს" მომავლობა ბედის საკითხმა გამოიწვია სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის. უკანასკნელ დრომდე გაზ. სათავეში იდგნენ კომუნისტები, რომლებიც უთმობდნენ გაზეთში ზომიერ სოციალისტებს თანამშრომლობას. ახლა კი მოსკოვის გავლენით გაზეთის რედაქციიდან გაძევებულია ყველა სოციალისტი. სოციალისტურმა პარტიამ გადაწყვიტა არ დაუთმოს უბრძოლველად ეს გაზეთი. გადაწყვეტილია საგანგებო ადმინისტრატიულ კომისიისა და გაზეთის აქციონერთა მოწვევა საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად.

ბოლშევიკების შეთქმულობა.

ნორვეგიის პრესა ბოლშევიკურ შეთქმულობას ალ ოზენის შესახებ იუწყება: შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ წაეკიდებინათ ცეცხლი ტყის მასალის საწყობებისათვის და მის შემდეგ დაეპყრათ პოლიციის შენობები და მთავრობის დაწესებულებანი: ფოსტა და ტელეგრაფი. თანახმად ქაღალდებში და დოკუმენტებში აღმოჩენილ ცნობებისა ბოლშევიკებს ნორვეგიის მთავრობის წევრების დატუსაღება განზრახული ჰქონდათ. შეთქმულები დაატუსაღეს.

სამხედრო ძალების შემცირება.

„ფიგარო" იუწყება: ამერიკის სენატმა დაადგინა გამართოს მოლაპარაკება ინგლისთან და იაპონიასთან სახღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალების საერთო შემცირების შესახებ.

გენერლების დიქტატურა.

გაზ. „რული" გადმოგვცემს, რომ მილიუკოვმა უკანასკნელ კონფერენციაზე ნაციონალურ ცენტრის შექმნის საკითხის შესახებ კატეგორიულად განაცხადა, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ძველი მეთოდების მოსპობის საჭიროების შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა უარი ყოველისა ხელი აეღოთ გენერლების დიქტატურაზე. მილიუკოვმა ის თვალსაზრისი გაიზიარა, რომ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ იმ ძალთა საშუალებით, რომლებიც თვით რუსეთის შიგნით იქნებიან დარაზმულნი. ამასთანავე მილიუკოვმა კატეგორიული უარი განაცხადა რუსეთის შინაურ საქმეებში უცხო ჯარების ჩარევაზე. მილიუკოვი რუსეთის გარეშე არსებულ რუსების ორგანიზაციისაგან მოითხოვს ანტიბოლშევიკურ აგიტაციის გაძლიერებას, ვინაიდან ამ ბრძოლას ამბობს იგი, ისეთივე სერიოზული შედეგები მოჰყვება, როგორიც თავის დროზე იწვევდა რუსების საზღვარგარეთ არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ცარიზმის წინააღმდეგ ეწეოდნენ აგიტაციას.

(ანგორის ცნობები).

მდგომარეობა ფრონტზე.

დასავლეთის ფრონტზე უკან დახეულ მტერს დაედევნენ, გაძლიერება ოსმალეთის ჯარის გამარჯვება ანგორაში და ფრონტის ახლო მდ. მიდამოებში მეტად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. ოსმალეთის ჯარმა მტრის მეტად დიდი სამხედრო და სასურსათო საწყობები ჩაიგდო ხელთ.

მტერი, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებია სევიური და პაზარდჯიკი, გზაზე ანადგურებს და სწვავს სოფლებს.

ალეპოს სამხრეთ და აღმოსავლეთით ოსმალებს ალეპოს ათასი შეიარაღებული მხედრები შეუერთდა. მტერი ამ პუნქტს მეტად ძლიერათ ამაგრებს. კოზაკას რაიონში ჩვენმა ერთ ერთმა მეწვრავმა რაზმმა ააფეთქა მტრის საფოსტო მატარებელი.

მუსტაფა ქემალის დეპეშა ანგორის ჯარის მთავარი შტაბის უფროსის ისმეტ ბეი-სადმი, რომელიც დასავლეთის ფრონტზე მყოფ ჯარს წინამძღოლობს.

თქვენი ჯარის მიერ ინენიუში მტერზე გმირული გამარჯვების გამო დიდი ეროვნული კრება სულით და გულით მიესალმება თქვენი ჯარის სხვა და სხვა ნაწილთა კომანდირებს, ოფიცრებსა და ასკერებს.

დიდ ეროვნულ კრებას, რომელიც ამ გამარჯვებაში ხედავს განგების მოწყალებას, იმედი აქვს, რომ იგი (განგება) მოკლე დროში მოგანიჭებთ თქვენ საბოლოო გამარჯვებას და შეძლებას მოგვცემს, რომ ჩვენი ძვირფასი სამშობლო გავსწმინდოთ მტრებისაგან. გთხოვთ ეს მისალმება გადასცეთ ასკერებსა და ოფიცრებს.

ამ დეპეშაზე ისმეტ ბეიმ მუსტაფა ქემალ ფაშას საპასუხო დეპეშა გაუგზავნა.

საბჭოთა სომხეთში

წითელი არმია

საბჭოთა სომხეთში სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელად არის ავისი რომელსაც ექვემდებარებიან როგორც მთელი არმია ისე ყველა სამაზრო სამხედრო კომისარიატები. საბჭოთა არმიის სტრუქტურაზეა გარდაქმნილ ძველი სომხეთის არმიაც. ამ მხრით მხოლოდ ჩამორჩენილია მამართველების და სურსათ საწყობის აპარატი, რომელნიც წესიერად ვერ არის მოწყობილი. ძველი სამაზრო სამხედრო სამმართველოები აღარ არსებობენ. არმიას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული როგორც დიდ სააგიტაციო იარაღს.

სომხეთის რევკომი ნახიჩევანის შესახებ.

სომხეთის რევკომი შემდეგს იტყობინება ნახიჩევანის შესახებ: მას შემდეგ რაც დაეცა დაშნაკელების მთავრობა სომხეთში და გამოცხადდა საბჭოთა მმართველობა, იმ დღიდანვე შეწყდა სომხეთ-აზერბაიჯანის შორის სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა. ქალაქი ნახიჩევანიც გამოცხადდა სომხეთის განუყოფელ ნაწილად და თუ რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი ნახიჩევანის მცხოვრებს და სომხეთის რევკომს შორის დღეს ეს სრულიად აღარ არსებობს და ყოველივე მოწესრიგებული არის.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენტო).

ფრანგული ცნობები

საპატივცემო სადილი.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოთხშაბათს საპატივცემლო სადილი გაუმართა დიპლომატიურ კორპუს.

ვიცე-ამირალის შეცვლა.

1921 წლის იანვარში ვიცე-ამირალი სალტენი შეცვალა ვიცე-ამირალმა შარტიემ, რომელიც საფრანგეთის ხმელთა შუა ზღვის ლაშქარს წინამძღოლობს.

საპატიო ლეგიონის ჯვარი.

ქალაქ ბელგრადისთვის საპატიო ლეგიონის ჯვრის გადაცემის გამო ფრანგული პრესის ცნობით—მილერანი, ბრიანი, გენ. ფრანშე-დესპერე და ამირ ბარი ლაკაჟი ბელგრადის საპატიო მოქალაქეებათ აურჩევიათ.

ოსმალეთის მიწვევა ლონდონის კონფერენციაზე.

სტამბოლში მყოფი მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა დიდ ვეზირს აუწყეს, რომ ოსმალეთი მიწვეულია ლონდონის კონფერენციაზე. ამავე კონფერენციაზე მიწვევის შესახებ აუწყეს საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესაც.

ბენეშის სიტყვა.

დეპუტატთა პალატაში ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკის შესახებ მინისტრმა ბენეშმა სიტყვა წარმოსთქვა. მან ვრცლათ დაახასიათა საგარეო პოლიტიკა და იმედი გამოსთქვა, რომ საქ. ჟერმენისა და ტრიანონის ხელშეკრულების საფუძველზე ჩეხო-სლოვაკია მტკიცე მეზობლურ დამოკიდებულებას დაამყარებს მეზობლებთანო. მიუხედავათ იმ ოპოზიციისა, სთქვა ბენეშმა, რომელსაც აწარმოებს შეერთებული შტატები ევროპის პოლიტიკის მიმართ, ამერიკისა და ევროპის შორის დამოკიდებულება მაინც მალე აღდგებაო. გერმანიას ფიქრადაც კი არ შეუძლია მასთან ავსტრიის შემოერთებაზე. შესაძლებელია სანამ გერმანიის [illegible] შეცვლა (დამახინჯებულია) მინისტრმა უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ ჩეხო-სლოვაკია ართულებს ცენტრალურ ევროპის საკითხს.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები.)

სასოფლო და სამეურნეო იარაღი.

რუსეთში მოვიდა დაგვიანებულის 1278 ვაგონი სასოფლო და სამეურნეო იარაღი. საზღვარ გარეთიდან სავაჭრო დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ ჩვენ ვალდებულნი ვართ დავამზადოთ თვით ჩვენში საკმაო რაოდენობა ნედლი მასალისა, რომელსაც შემდეგ გადავცვლით ჩვენთვის საჭირო საგნებზე.

საბჭოთა მთავრობა უარს აცხადებს მეფის ვალების გადახდაზე, ვინაიდან ეს ფული კაპიტალისტების ჯიბეში წავა, მაგრამ იგი პირველ შეძლების თანავე გადაიხდის იმ ვალს, რომელიც მან გლეხებისაგან აიღო. გლეხებმა დაიწყეს საჭირო სასოფლო იარაღების შესყიდვა. ახლა გლეხობამ უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი ენერგია და შესაფერისად უნდა გამოიყენოს სასოფლო სამეურნეო იარაღები, რომ უზრუნველყოს საბჭოთა რუსეთი პურით და სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტებით.

„საბჭოთა" მერვე ყრილობა.

დეკემბრის დასასრულს მოსკოვში შესდგა საბჭოთა მერვე ყრილობა. თითქმის ამავე დროს რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებმა მოაწყვეს პარიზში ყოფილ დამფუძნებელი კრების წევრების კონფერენცია. საბჭოთა მერვე ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით 17000 დელეგატი დაესწრო. პარიზის ყრილობაზე მოწვეული იყო 56 კაცი, რომელთაგანაც დაესწრო 33. საბჭოთა ყრილობამ განიხილა საკითხი სამეურნეო აღმშენებლობისა დანგრეულ მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენისა და სხვ. პარიზის თათბირის მიზანი კი იყო კადეტებისა და ესერების გაერთიანება. მიზანს თითქოს მიაღწიეს. ამაში მათ ხელი შეუწყო რუსეთის მშრომელი ხალხის მძლავრებმა. თათბირის მიერ გამოტანილ რეზოლიუციებში გამოხატულია პროტესტი იმ საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დასდვა.

ესერები ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებენ, რომ ისინი მშრომელი ხალხის შეურიგებელი მტრები არიან. საბჭოთა მთავრობამ უკვე შემოიტანა 1278 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მათ გლეხებს შორის ანაწილებს, ესერები კი ცდილობენ შეაჩერონ ხელი და ჩვენი საგარეო ხელშეკრულებები დაარღვიონ. ისინი ცდილობენ წაუსისიანონ გლეხები, გლეხებისავე და მუშების მთავრობას.

ფინეთი და რუსეთი.

ფინები იმედოვნებენ, რომ საბჭოთა რუსეთთან საგარეო დამოკიდებულების აღდგენის შემდეგ ინგლისის საქონლის უმეტესი ნაწილი რუსეთში შესატანად ფინეთის ტერიტორიაზე გატარდება, რაც უკანასკნელს დიდ მოგებას მოუტანს.

მოძრავი ქონების რეკვიზიცია.

1920 წლის 16 აგვისტოს დეკრეტის ძალით, რომელიც სხვადასხვა საგნებისა და საოჯახო ნივთების რეკვიზიციისა და კონფისკაციის მოსაწესრიგებლად იყო გამოცემული საგუბერნიო აღმ. კომიტეტთან საგანგებო კომისიები უნდა დაარსებულიყო. თანახმად მიღებულ ცნობებისა ირკვევა, რომ ასეთი კომისიები არსდება ზოგიერთ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან. ცეკა წინადადებას იძლევა მიიღონ სახელმძღვანელოთ მის მიერ გამოცემული დეკრეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამაზრო აღმ. კომიტეტებთან დაარსებული კომისიები ჩაითვლება საბჭოთა კომისარიატის დეკრეტის პირველი მუხლის დარღვევად, რისთვისაც დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. თანახმად იმავე 16 აგვისტოს დეკრეტისა.

ახალი ამბები

◆ **ა. ჩხენკელის გამგზავრება.** ა. ჩხენკელი უკვე გაემგზავრა ევროპაში.

◆ **საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.** ლიტვის წარმომადგენლობა სთხოვს გამოაქვეყნოთ შემდეგი: ამა წლის 22 იანვრიდან საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ბიულეტენში გამოქვეყნებული ლონდონიდან მიღებული დეპეში იმ თითქოს მოსალოდნელ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება გერმანიის წინააღმდეგ, ყოვლად უსაფუძვლოა და სინამდვილესთან შეუფერებელი.

გამოაცხადა რა მუდმივი ნეიტრალიტეტი, ლიტვა მისწრაფის დაამყაროს მეგობრული განწყობილება ყველა თავის მეზობლებთან და მისი საგარეო პოლიტიკა შორსაა ყოველგვარ აგრესიულობისაგან.

◆ **გამოცემანი.** ერობათა კავშირის კომიტეტი უკვე შეუდგა სხვა და სხვა წიგნების ბეჭდვას. ამ ქამად იბეჭდება და მალე გამოვა კიდევ ორი წიგნი „სტატისტიკის საფუძვლები" პროფ.-დოცენტის კონისა, „სამელიორაციო საქმე საქართველოში" ესინისა. გადაეცა დასაბეჭდავათ სტამას ორი წიგნი: შიო მღვიმელის სამი საბავშო პოემა და ალექსი მირანაშვილის „იგავ-არაკები".

◆ **შრომის დაჯილდოება.** შრომის სამინისტროსთან არსებულმა შრომის დაჯილდოების ბიურომ დაადგინა შემოიღოს შრომის დაჯილდოების სისტემა იმ ფაბრიკებში, ქარხნებში, და დაწესებულებებში, რომელშიაც ნედლი მასალის და პირველ საჭიროების ფაბრიკატების დამუშავება სწარმოებს.

◆ **ბანკების რევიზია.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კერძო ბანკების რევიზია დანიშნა. რევიზია მინდობილი აქვს საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან: ე. ბერგი, პ. ჯაფარიძე, დ. დიამანდოპულო და ს. ჯუბბაძე.

◆ **მწყემსის რევიზია.** თანახმად ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა დაინიშნა ქართულ მეცხვარეთა საზოგადოების მწყემსის რევიზია. სარევიზიო კომისიაში შედიან: პ. ჯაფარიძე და პ. მოდებაძე.

◆ **ახალი ტარიფის გამო.** სატარიფო პალატა იუწყება ახალ ტარიფის გამოქვეყნებამდე ყველა დაქირავებულს წინადადება ეძლევა მისცეს 15 იანვრიდან დაქირავებულ მუშებსა და მოსამსახურეებს 100% გადიდებული სატარიფო ჯამაგირი.

◆ **ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში** ყოველ ორ კვირაში ერთხელ წაიკითხება მთელი რიგი მოხსენებისა გერმანულსა და ქართულს ენებზე. უახლოესი მოხსენება კვირას, იანვრის 30-ს ცენტრო-ბანკში კ. ჰანისა: საქართველოს მომავლის გზები ძველად საქართველოში. დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც.

◆ **არა სოციალისტური პარტიების კონფერენცია.** იანვრის 27-ს დასრულდა მუშაობა არა სოციალისტურ პარტიების კონფერენციისა. კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებანი: ს. კედიამ—ქვეყნის შინაურ მდგომარეობის შესახებ, გ. ვეშაპელმა საგარეო პოლიტიკის შესახებ, ა. ასათიანმა—ეკონომიური პოლიტიკის შესახებ; კ. აფხაზმა ფინანსების შესახებ, შ. ქარუმიძემ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, კ. მარგველაშვილმა ვაჭრობა და მრეწველობის შესახებ და ს. დანელიამ პარტიის ტაქტიკის შესახებ. მთავარ კომიტეტის წევრთა არჩევნების შემდეგ კონფერენციის თავჯდომარემ ა. ასათიანმა მოულოცა კონფერენციის წევრებს მიღწეული შედეგები და აღნიშნა როლი არა სოციალისტურ დემოკრატიის გაერთიანებისა. ამის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

შეცდომის გასწორება.

იმერეთის სავაჭრო სამრეწველო ბანკის (იმერბანკის) წესდებაში რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში", № 5—17-ში.

შეცდომით დაბეჭდილი იყო:

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ" 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-

მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ავალიანი.

უნდა იყოს:

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ“ 9 დეკემბერს, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ავალიანი.

თავდაცვის ფონდი.

შემომწირველთა სია.

რესპუბლიკის მთავრობა.

1. ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე—ჩაის ვერცხლის კოვზი.

2. გრიგოლ ლორთქიფანიძე, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და განათლების მინისტრი—ხელსახოცის ორი ვერცხლის რგოლი.

3. ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ჩაის ვერცხლის კოვზი.

4. რაჟდენ არსენიძე, იუსტიციის მინისტრი—ვერცხლის საათი.

5. პარმენ ჭიჭინაძე, სამხედრო მინისტრი—ორი ვერცხლის სასძისი.

6. კონსტანტინე კანდელაკი, ფინანსთა მინისტრი—50 ფრანგული ფრანკი.

7. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, სახელმწიფო კონტროლის თანამდ. აღმასრულებელი—ერთი ვერცხლის რგოლი ხელსახოცისთვის.

8. დავით ონიაშვილი, მიწადმოქმედების მინისტრი—ვერცხლის სამარილე, რიუმკა და ვერცხლის ლამბაქი.

9. კონსტ. საბახტარაშვილი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი—ერთი ოქროს ოსმალური ლირა.

10. ალექსანდრე გედევანიშვილი,—სამხედრო მინისტრის თანაშემწე—ერთი მოზდილი ვერცხლის ფიალი.

11. ვლადიმერ ქუთათელაძე—იუსტიციის მინისტრის ამხანაგი—ერთი ვერცხლის ჭიქა.

12. ივანე ჭავჭავაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი—ოთხი ინგლისური ვერცხლის ფლორიანი ანუ 8 შილინგი.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.

13. ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძე, დამფ. კრების თავმჯდომარე—65 ოსმალური პიასტრი.

14. ექვთიმე თაყაიშვილი—დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი—ორი ვერცხლის სამარილე და ერთი ვერცხლის კოვზი.

15. კონსტანტინე ჯაფარიძე—დამფ. კრებ. მდივანი—ერთი ვერცხლის რგოლი.

დამფუძნებელი კრების ფრაქციები

16. (სოც. დემ.) სილიბისტრო ჯიბლაძე—ვერცხლის მანეთიანი.

17. (სოც. ფედ.) გიორგი ლასხიშვილი—ვერცხლის სამარილე.

18. (ეროვ. დემოკ.) სპირიდონ კედია—ერთი ოქროს მედალიონ.

19. (სოც.-რევ.) ივანე გობეჩია—1 ვერცხლის დოქი.

21. (მიწის მესაკ. პარ.) გრიგოლ ვეშაპელი—ოქროს ფირფიტა სურათით.

თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა

22. აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი—თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე—ოქროს ბეჭედი თვალით.

23. დიმიტრი გიორგისძე—აბხაზი—მთავარი გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი—ორმოცდა-ათი ათასი მანეთი.

24. ანტონ მაქსიმეს ძე ჟორჟოლიანი—მთავარი გამგეობის პრეზიდიუმის წევრი და მდივანი—ხუთი ფრანკი.

25. გიორგი გვაზავა—მთავარი გამგეობის წევრი—ვერცხლის აზარფეშა ხუთი გირვანქა და თორმეტი მისხალი.

26. ბენიამენ ჩხიკვიშვილი—მთავ. გამგ. წევრი—ოქროთი მოჭედილი ქარვის მუნშტუკი, სამახსოვრო, 80 ათას მანეთ. ღირებული.

27. სერგო ჟორჟოლიანი—მთავარი გამგეობის წევრი—საშნახევარი თათრული ლირა და ერთი ინგლისური შილინგი.

28. სამსონ კილაძე—მთავარი გამგეობის მთავარი მოლარე და შეწირულებათა საქმის გამგე სახელმწიფო ბანკში—5 გერმანული მარკა, ათი ავსტრიის კრონა და ერთი ვერცხლის მანეთიანი.

29. ისიდორე სტურუა—მთავ. გამგ. წევრი 3 ოქროს ლირა.

30. იოსებ გობეჩია—მთავ. გამგ. წევრი—ერთი თვის ჯამაგირი.

31. ტერსტეფანიანი—ერთი თვის ჯამაგირი

32. კარლო და ლუიზა კაუცკი—ოქროს ძეწკვი და ვერცხლის საფულე.

33. ვლადიმერ ჯუღელი—სახალ. გვარდ. მთავარი შტაბის თავმჯდომარე—20 ფრანგული ოქროს ფრანკი.

34. ინა ივანეს ასული ჟორდანიასი—ორი ვერცხლის შილინგი.

35. მარო რამიშვილისა—ხუთი გერმანული ვერცხლის მარკა.

36. ბენია ნოეს ძე რამიშვილი—ათასი მანეთი

37. გიორგი და ლეო ჭიჭინაძე—ვერცხლის ორი მანეთი და 50 კაპ.

38. დარიჯან და თეიმურაზ ლორთქიფანიძე—გერმანული ვერცხლის 5 მარკა.

39. ლიდა ჩხეიძისა—ვერცხლის პეპელა (ბროში).

40. ალექსანდრა დალალა ჩხეიძისა—ორი ფრანგული ქაღალდის ფრანკი. ორი ვერცხლის ფრანკი, ვერცხლის ფინჯანი და ლამბაქი.

41. ნატა ჩხეიძე—ორი ვერცხლის შილინგი.

42. რუსუდან მდივანი ოქროს ბროში ფირუზის თვალით.

43. სოფიო საბახტარაშვილისაგან—ოქროს ფრანგული ოცი ფრანკი ბროშათ გაკეთებული და ოთხი ვერცხლის მანეთი.

44. ალექსანდრე საბახტარაშვილი—ვერცხლის მოზდილი სათუთუნე და ოქროს მედალიონი თვალით.

45. მარიამ კვინიტაძე—ოთხი ვერცხლის კოვზი.

46. სოფიო ჭავჭავაძე—ერთი ოქროს საათი.

47. გენერალი ზაქარიაძე—ერთი ოქროს ვლადიმერის ორდენი და პატარა გიორგის ჯვარი ხმალზე დასამაგრებელი.

48. გენერალი კვინიტაძე—გერმანული ვერცხლის სამი მარკა.

49. გენერალი კარ. ქუთათელაძე—ორდენები სტანისლავისა, ვლადიმერის და ერთი ვერცხლის მკერდის ვარსკვლავი.

50. სამხედრო ტაძრის კომიტეტი—ორი წმინდა გიორგის ოფიცრის ჯვარი, ვერცხლის ისტორიული წარწერ. და ნახატებით მოზრდილი ფიალა. 36 მისხალი, ერთი ყუთი ვერცხლის და ისტ. წარწ. სახურავი.

51. სიმონ პეტრეს ძე გეველაშვილი—შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორი—ერთი ვერცხლის ჩაის ჭიქის ჩასადგმელი.

52. მიხეილ ქუთათელაძე—100.000 მან.

53. კ. მაჭარაძე—სტანისლავის ორდენი—ჯვარი.

54. პელაგო დგებუაძე—ოქროს ბეჭედი 4 მარგალიტის ჯვარით და 4 ვერცხლის მანეთიანი.

55. ბათუმის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე—221.500 მან. ბონით, 4 ოქროს ბეჭედი—სამი თვალით და ერთი თვალ-ამოვარდნილი.

56. კოკი დანელი ფრიდონოვები—ოქროს საქორწინო ბეჭედი.

57. ოლღა ჩოლოყაშვილი—ვერცხლის კენტი-შაურიანის სამაჯური.

58. ი. მ. ფალავა—ათასი მან.

59. დავით კაზელაძე—1 გირვანქა სტერლინგი.

60. სოფიო კაზელაძე—2 ათასი მან. ბონი და 1 ვერცხლის მან. და 60 კ.

61. დიმიტრი ჩოლოყაშვილი—150 ფუთი სიმინდი.

62. თამარ და ტანია აბხაზი—11 ცალი სხვა და სხვა ღირებულების ვერცხლის უცხო ფული, 1 ოქროს სპარსული კრონი, 15 ნიკელის ფული, 24 ცალი სპილენძის და ბრინჯაოს ფულების კოლექცია მე 17—18 საუკუნ. ვერცხლის ნიშანი ოფიცრისა ოქროს მონოგრამით, ცალი ოქროს „ზაპონკა“ ინიციალით „დ. ა.“ და ერთი ვერცხლის ძეწკვიანი საფულე თვალით.

ქალაქის არჩევნებისათვის.

საკომისარიოტოს ხელმძღვანელთა და კონტროლიორთა საყურადღებოდ.

— სამშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს ხუთ საათზე, ცენტრალურ საარჩევნო ბიუროს ბინაზე (საპიორის შესახვევში № 3-ში) ქალაქის გამგეობა იწვევს შეერთებულ კრებას ყველა საკომისარიატოების აღწერის ბიუროთა ხელმძღვანელებს და კონტროლიორებს. დასწრება ყველასათვის აუცილებელია. მათ მიეცემათ ინსტრუქციები საარჩევნო სიების გამოფენის შესახებ.

— ამომრჩეველთა სიების შედგენის დამთავრება ნავარაუდევი აქვს ქალაქის გამგეობას 1-ლ თებერვლისთვის.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში ტფილისში გახსნის ქალაქის წიგნის მაღაზიას. ამ მიზნისთვის გადადებული იქნება ერთი მილიონი მანეთი და განთავისუფლებული რუსთაველის პროსპექტზე მდებარე „კაფე უნიონი“ შენობა, რომლის დარბაზი გამოყენებული იქნება მაღაზიის საჭიროებისათვის. წიგნის მაღაზიის გამგედ დაინიშნება ქ-ნი ტუაპი.

— საარჩევნო ოლქების დამხმარე კომიტეტის საკონტროლო კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ სხვებთან ერთად ქალაქის ხმოსნებიც: პართენ გოთუა, არჩილ ჯაჯანაშვილი, პ. კახიანი, დავ. ვაჩნაძე და არ. რუხაძე.

— ქალაქის საარჩევნო სიების შედგენისთანავე გამოქვეყნებულ იქნება, თანახმად საბჭოს ხმოსანთა არჩევნის დებულების მე 9 მუხლისა, ყველა საკომისარიატო ადგილებში, დღე, საათი და ადგილი.

— თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა პლეხანოვის ქუჩაზე მდებარე „საზაფხულო კრუჟოკი“-ს ბინა ჩამორთმეულ იქნება და გადაეცემა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებულ სანიტრო ინსტიტუტის ბალნეოლოგიურ განყოფილებას თავის საჭიროებისათვის.

— რადგან ამ ჟამად ტფილისის ზოგი ქუჩები ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება ქალაქის გამგეობამ ამას, სათანადო ყურადღება მიაქცია და გამგეობის წევრს შოთაძეს დაავალა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ტფილისის ქუჩები დაწმენდილი და სუფთათ ინახებოდეს და თვალყურს ადევნებდნენ მეეზოვები.

ქალაქის ცხოვრება

ფოთის ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილებანი.

— გარდაცვალებულ ქალაქის ხმოსნად ყოფილ დუტუ გუგუშვილის ხსოვნის აღსანიშნავად: მიეცეს განსვენებულის დასაკრძალავად მისი ქვრივ-ობლებს ერთდროული შემწეობა 30.000 მანეთი.

— დამტკიცებულ იქნას გამგეობის მოხსენება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შესახებ 1921—1922 წ.წ. და საარჩევნო სიების შესადგენათ და სხვა ხარჯების გასაწევად გაეხსნას გამგეობას 800.000 მან. კრედიტი.

— ნება მიეცეს გამგეობას ამა 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდის აწარმოოს მიმდინარე ხარჯები წარსული წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით.

— ელექტრონის და წყლის ფასი გასამკეცდეს, ვინაიდან, თანამედროვე პირობებში ყოველ გვარი საჭირო მასალების, მანქანების და მუშა-ხელის ყოველ-დღიურ გაძვირების გამო, ქალაქი ამ წარმოებაში დიდი დეფიციტი მოელის. ამ გვარად დადგენილ იქნა შემდეგი ნიხრი:

კერძო პირებს და სა. ხელმწიფო დაწესებ.	სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს.
1 სანთელი—10 მ. 50 კ.	15 მან.
1 კილოვატს. 60 მ. 50 კ.	75 მან.

სახელმწიფო გემებზე ერთ ტონნა წყლისთვის დაწესდეს—120 მან. და კერძო გემებზე 400 მან.

— ქალაქის ტრამვაის ბილეთის ფასად დაწესდეს 50 მანეთი, ხოლო ვინც შეიძენს თვიურ აბონენტიან ბილეთებს—40 მან. და მოწაფეთათვის—20 მან.

— მდ. რიონის და კაპარჭინის ნაპირების სარგებლობისთვის გადასახადი გადიდდეს ათჯერ. აგრეთვე გადიდდეს გადასახადი ათჯერ ნავების და პარომების რაიონის ნაპირებზე მიყენებისთვის და დამბებით და პრისტანებით სარგებლობისთვის.

— გადიდდეს სამჯერ, აგრეთვე, გადასახადი ქალაქის სასაკლაოზე დაკლულ საქონლისათვის.

— ფოთის მომრიგებელ მოსამართლეს გ. თურქიას მიეცეს ერთდროული დახმარების სახით 10.000 მანეთი და, 1-ლი იანვრიდან, დაენიშნოს თვიურად 5.000 მანეთი.

— სამეგრელოს ოლქის სამომრიგებლო ყრილობის საჭიროებისათვის გადაიდვას თვიურად 1000 მანეთი.

— გამგეობის ყოფილ საქმის მწარმოებელს ანდრია ხუჭოლავას მისი ხანგრძლივი სამსახურისათვის მიეცეს ერთდროული ჯილდოთ 50.000 მანეთი.

— მიეცეს აგრეთვე ქალაქის ტყისმცველად ყოფილ, გარდაცვალებული ნიკო გვათუას ქვრივს ერთდროული შემწეობა 10.000 მან.

— ქალაქის თავს და ყველა არჩეულ პირებს სხვა ქალაქებში გამგზავრების დროს ქალაქის საქმეების გამო, დაენიშნოს დღიური 3.000 მანეთი, მიეცეს მათვე ნომრის ფული და სამგზავრო ხარჯად მატარებლის პირველი კლასის ბილეთის ფასი.

— ფოთის ჯარის კაცთა და გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ გადაიდვას ერთდროულად 150.000 მანეთი და ყოველ თვიურად 50.000 მანეთი.

— ქალაქის თვითმართველობის მხრით მთავრობის მიერ დანიშნულ საუწყებათაშორისო კომისიაში, რომელსაც დაკისრებული აქვს გამოარკვიოს ფოთის წყალსადენის საკითხი ნავთსადგურში გაიგზავნოს ქალაქის თავი ა. ბ. კორძაია, რომელსაც დაევალოს დაიცვას ქალაქის ინტერესები, თანახმად ქალაქის საბჭოს 1920 წლის 22 ივლისის დადგენილებისა, ე. ი. დაბეჯითებით მოითხოვოს მთავრობისაგან ქალაქის წყალსადენი ყოველივე მისი მოწყობილობით დარჩეს პირველ მდგომარეობაში ქალაქის საკუთრებად, სრულ მის განკარგულებაში და მფლობელობაში და წყალსადენის შესაკეთებლად მთავრობის მიერ გაწეული ყოველივე ხარჯები აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალაქის საშუალებიდან მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშების თანახმად და თუ მთავრობა გადაჭრით მოითხოვს წყალსადენის ნავთსადგურის სამმართველოსთვის იჯარით გადაცემას, მაშინ მიენიჭოს ჩვენს წარმომადგენელს უფლება შეიმუშაოს საუწყებათაშორისო კომისიაში პირობები, რომელიც წარმოუდგინოს ქალაქის საბჭოს მისი საბოლოო გადასაწყვეტად და გადასაწყვეტად,

დასასრულ საბჭომ დახურულ კენჭისყრით, 15 ხმით წინააღმდეგ 2 ხმისა, აირჩია თვითმართველობის კონტროლიორის თანამდებობაზე მიხეილ ბეგლარის ძე ნოდია.

ფინანსთა სამინისტროში.

სახელმწიფო შემოსავალი 1920 წ. დეკემბრის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში სულ გადასახადის სახით 423.240.428 მანეთი შემოვიდა. პირდაპირი გადასახადის სახით შემოვიდა 62.185.896 მანეთი. არა პირდაპირი გადასახადის სახით 324.365.236, და საბაჟო გადასახადის სახით კი 36.689.296 მანეთი. წინათვესთან შედარებით შემოსავალი 104.626.052 მანეთით გაიზარდა. ამასთანავე შემოსავალი პირდაპირი გადასახადის სახით გაიზარდა 21.869.097 მანეთით, არა-პირდაპირი—76.942.899 მანეთით, საბაჟო გადასახადი—2.814.056 მანეთით. 1920 წლის დეკემბრის განმავლობაში გადასახადთა ფაქტიურმა შემოსავალმა ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევ თანხას გადააჭარბა: პირდაპირმა გადასახადმა მისცა ხაზინას ზედმეტი 45.451.646 მანეთი. აქციზებმა კი—202.771.903 მანეთი. საბაჟო გადასახადმა—28.849.317 მან. საერთოდ დეკემბრის განმავლობაში შემოვიდა 277.072.866 მანეთით მეტი, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო სმეტით. 1919 წლის დეკემბრის განმავლობაში შემოსავალი სულ 45 მილიონ 31.697 მანეთს უდრიდა. ამ რიგად 1920 წლის დეკემბერში შედარებით 1919 წ. დეკემბერთან სახელმწიფო შემოსავალი დაახლოვებით $9^{1}/_{2}$ გადიდდა.

მიწად-მოქმ. სამინისტროში.

თესლეულობის მიწოდება.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ იმსჯელა რა რესპუბლიკის მცხოვრებთათვის 1921 წელში გაზაფხულის პურის თესლეულობის მიწოდების შესახებ დაადგინა: რადგან არ არის სწორე ცნობები 1920 წელში შემოდგომის პურის ნათესების რაოდენობისა, ამიტომ შეუძლებელია უტყუარი ციფრებით გამოანგარიშება იმისა თუ რამდენი პურის თესლი დასჭირდება გაზაფხულზე რესპუბლიკის მცხოვრებთ. ჯერ-ჯერობით დიდად საჭიროებს თესლეულობის მისაწოდებლად შემდეგი მაზრები: თბილისის, ბორჩალოს, თელავის სიღნაღის, დუშეთის და თიანეთის. ამ მაზრებს ხორბლეულობა დაძლევ გაზაფხულზე მიეცემად; ტფილისის მაზრას—65000 ფუთი, ბორჩალოს—50,000 ფუთი, თელავის მაზრას—50,000 ფ. სიღნაღის—15,000 ფ., დუშეთის 20,000 ფ. თიანეთის მაზრას—10,000 ფ. ამასთანავე მიიღო რა მხედველობაში მიწად-მოქმედების სამინისტრომ რომ გაზაფხულზე სათესლეს შესაძენად მიღებულ 20,000,000 მანეთი ვერ დააკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილების მცირე ნაწილსაც კი, ამიტომ სამინისტრო აუცილებლად საჭიროდ სცნობს ამ მიზნისთვის გადადებულ იქნას 100,000,000 მანეთი.

შტატების შემცირება.

მიწად მოქმედების სამინისტრო მოსამსახურეთა შტატს შემდეგნაირად ამცირებს: 1) სამინისტროს კანცელარიასთან გაუქმებულ იქმნება მინისტრთა საბჭოს მდივნის და ერთი კანცელარიის მოხელეს თანამდებობანი, 2) ბუღალტერიაში რეგისტრატორის თანამდებობა, 3) სასოფლო-მეურნეობის განყოფილებაში საქმის მწარმოებლის თანამდებობა, 4) სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში: 5) ქართლის მამულში ტეხნიკურ ნაწილის გამგის და კანცელარიის მოხელისა, ბ) მუქუზანის მამულში კანცელარიის მოხელისა, გ) კარდანახის მამულში—ზედამხედველის ადგილი, დ) ნაფარეულის მამულში მოურავის და თანაშემწისა, ი) წინანდალში კანტორის მოხელისა, მეეტლისა, მეურმისა, მეხოვისა, სარდაფის მუშებიდან ბაღის მომვლელი და ტყის მცველნი, 4) ყოფილ საუფლისწულო, სარდაფის მოხელე ნოქრის თანამდებობისა და სინოპის მამულში კანცელარიის მოხელისა, 6) სატყეო განყოფილებები—ტყის მოურავისა და კანცელარიის მოხელის, ხ) წყალთა განყოფილებებში ორი ინჟინრის და ორი უფროსი ტეხნიკოსისა საქმის მწარმოებლის, შიკრიკისა, ხ) საიჯარო განყოფილებაში—მეეზოვისა სამაჯნაო განყოფილებაში 2 გამგის (ერთბეზთან) საქმის მწარმოებლის და ერთი მანქანაზე გადამწერისა.

მილიციაში

28 იანვარს სისხლის სამართლის მილიციის მოხელეების მიერ დაკავებულია და დაპატიმრებული მომარაგების სამინისტროს ცენტრალურ საწყობის მსახურნი ვლადიმერ ალექსის ძე ვოლკოვი და ილია კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი, რომელთაც ბრალდებათ შერჩეული გასაღებით დამფუძნებელი კრების წევრის ი. საბაშვილის გაქურდვა (მცხოვ. დიდ-მთავრის ქუჩ. სახ. № 72) წაღებულია 300.000 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები. დაპატიმრებულებმა თუმცა თავი დამნაშავედ არ აღიარეს, მაგრამ კვლევა-ძიებით მტკიცდება მათი დანაშაულობა.

— 28 იანვარს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს ცნობილი ქურდი ალექსანდრე ივანეს ძე შაბანოვი, რომელსაც ბრალდება მრავალ ქურდობაში მონაწილეობა.

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დაკავებულია და გადაცემული სასამართლოს სადარაჯო ბათალიონის ჯარისკაცი ილია კევტუაშვილი, რომელსაც ბრალდება სისტემატიური ქურდობა ყაზარმიდან სხვა და სხვა ნივთებისა, დაპატიმრებული კევტუაშვილი გამოტყდა თავის დანაშაულში მან გამოაჩინა საზ მთრო სახური ღირებული 10.000 მან. რომელიც გადაეცა კუთვნილებისამებრ.

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ“ 9 აპრილი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ჟვალიანი.

წესდება

II. ბანკის ოპერაციები.

§ 25. ბანკში წარდგენილი გირაოთ ლითონნი, საქონელი, ასიგნობები ოქროს მისაღებად, ვარანტები, კონოსამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორებისა, რკინის გზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა და ყოველ გვარი ფასიანი ქაღალდი და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრული იქმნას რაიმე თარი კერძო და სახაზინო გარდასახადისათვის და ბანკის მოვალის საკონკურსო ნებით გარდაიქცეს, ვიდრე სულ მთლად არ იქნება გადახდილი ის სესხი, რომლისათვის გირაოთი გასცა ბანკმა კუთვნილი პროცენტებით, ხარჯებით და ჯარიმითა თუ ასეთობა სესხის ვადა განსაზღვრულ დრომდე გადაცდენილია.

§ 26. რაოდენობა ბანკის და მის განყოფილებათა ვალდებულებანი არ უნდა აღემატოს ათჯერ მეტი შეერთებულ საკუთარ ძირითადი და სათადარიგო თანხას (შენ. 2 §სა 4 და 74).

§ 27. ბანკის თითოეული კლიენტისათვის აღწერილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილს ბანკის ძირითადი თანხისას.

§ 28. დებულის ბილეთებს ბანკი იძლევა ბლანკებზე, რომელიც შეიძლება იქმნას დაბეჭდილი სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში. ამ ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის დამნაშავეთ მიეჯებათ ისეთივე სასჯელი, როგორიც დაწესებულია სახელმწიფო ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის.

§ 29. ბანკის ბილეთები დებულზე შეტანილი ფულისა მიიღება გირაოთ მთავრობის ყველა დაწესებულებისა და სახაზინო მმართველობაში იმ ფასად, რა ფასიც დაწესებული იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ. ბანკის აქციებიც მიიღება გირაოდ იმავე დაწესებულებათა მიერ იმ ფასად, რომელსაც დააწესებს ფინანსთა მინისტრი.

§ 30. ბანკში დებულად შეტანილ ფულზედ შეიძლება მარტოდ მარტო სახელობითი ბილეთები იქმნას გაცემული. ეგ ბილეთები შეიძლება ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადავიდეს იმ პირობით-კი რომ ზედ სრული წარწერა, დაერთოს ბილეთს გადაცემის დროს და თვით ბანკის დავთრებშიაც აღინიშნოს ეს გადაცემა.

III. მმართველობა.

§ 31. ბანკის საქმეთა მმართველობა მინდობილი აქვს გამგეობას და საბჭოს.

§ 32. ბანკის გამგეობა იმყოფება ქ. ფოთში და შესდგება სამი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება აქციონერებისა საბჭოს მიერ წარმოდგენილ პირთაგან სამი წლის ვადით. გამგეობის წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნას აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად.

§ 33. გამგეობის წევრად არჩეული მოვალეა თანამდებობის ასრულების შედგომისთანავე იქონიოს თავის სახელზე არა ნაკლებ ოცი აქციისა რომელიც ინახება ბანკის კასაში იმ დრომდე ვიდრე აქციონერების საზოგადო კრება დაამტკიცებს ანგარიშს იმ ხნის განმავლობაში რა ხანსაც გამგეობის წევრი თანამდებობას ასრულებდა.

§ 34. საზოგადო კრების მიერ გამგეობის წევრად არჩეულნი ასრულებენ თავიანთ თანამდებობას სამი წლის განმავლობაში; პირველ სამ წელს თითო-თითო წევრი ანებებს თავს თანამდებობას ან ურთიერთ შორის თანხმობით, ან კენჭის ყრით. შემდეგ ყოველ წლივ ანებებენ თავს სამსახურს ის წევრნი გამგეობისა, რომელთაც სამი წელი შეუსრულდებათ ამ თანამდებობაში. სამსახურს თავდანებებულნი შეიძლება ხელ-ახლა იქმნას არჩეულნი გამგეობის წევრად.

§ 35. თუ ვინიცობაა გამგეობის რომელიმე წევრმა თავი დაანება სამსახურს იმ ვადამდე, რა ვადით ის იყო არჩეული, მაშინ მის ადგილას საბჭოს წარდგენით, ირჩევენ ახალ წევრს იმ ვადით რა ვადაც დარჩა სამსახურიდან გასულს.

ხოლო როგორც სამსახურს თავდანებებული, ისე დროებით სადმე წასულ გამგეობის წევრის თანამდებობის ასრულება თუ გამგეობაში სამზე ნაკლები წევრი რჩება საბჭოს განკარგულებით ევალება ერთ ერთ საბჭოს წევრს.

§ 36. გამგეობის წევრების შემდეგ ის ირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, რომლის არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს წლიურათ, წლიური საზოგადო კრების შემდეგ ხდება თავმჯდომარის ხელ-ახალი არჩევა.

§ 37. გამგეობა მართავს სხდომას საჭიროებისამებრ, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც. რათა გამგეობის გადაწყვეტილებას ძალა ქონდეს საჭიროა კრებას სამი წევრი დაესწროს გადაწყვეტილება უნდა დადგენილ იქმნას უბრალო ხმის უმეტესობით, გარდა იმ საქმეთა რომელიც აღნიშნულია ამ წესდების § 12 გ. ი. და ლ. მუხლების შენიშვნაში თუ ხმათა რიცხვი შუაზე გაიყო თავმჯდომარეს ხმის უპირატესობა ეძლევა, ხოლო თუ არა ორად, არამედ მეტ ნაწილად აზრი წევრთა გაიყო და არც ერთ აზრს უმეტესობა ხმათა არ მიეკადლა, მაშინ ის საქმე, რომელმაც გამოიწვია ასეთი აზრთა სხვა და სხვაობა საბჭოს გარდასაწყვეტათ გარდაეცემა.

§ 38. გამგეობა იბარებს დამფუძნებელთაგან დავთრებს და აქციების შესაძენად შეტანილ ფულს და შემდეგ, როცა ფულის შეტანა დასრულდება, დროებითი მოწმობის მაგიერ აქციონერებს აქციები აძლევს თანახმად § 5 ამა წესდებისა.

§ 39. გამგეობის მოვალეობას შეადგენს:

ა) წარმოება საქციო წიგნისა.

ბ) მართვა ბანკის ყოველი საქმისა და თანხისა ამ წესდების ნამდვილ საფუძველზე.

გ) მოწმობა საქმის წარმოებისა და მოანგარიშეობისა.

დ) განწესება და დათხოვნა ბანკის მოხელეთა და დანიშვნა ჯამაგირის დამტკიცებულ ხარჯთ აღრიცხვის ფარგალში.

შენიშვნა: გამგეობას შეუძლია მიანდოს დირექტორ გამგეს მიღება და დათხოვნა ბანკის მოხელეთა, თანახმად მისდამი მიცემულ ინსტრუქციისა (§ 40).

ე) არჩევა ბანკის კომისიონერებისა და კორესპონდენტებისა (§ 2).

ვ) განსაზღვრა საბჭოს ნებართვით, თუ რაოდენი ფული იქმნას დახარჯული წესდებით, ნებადართულ თითოეულ ოპერაციაზე და თუ რაოდენი ნაღდი ფული უნდა ინახებოდეს კასაში, რათა ფულის მღებელს დაუყონებლივ შეეძლოს თავის ფულის მიღება.

განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი № 4517 ეკატერინე პეტრეს ასული კლიმაშევსკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 338 1—1

დაიკარგა პასპორტი № 6139 პეტრე ალექსის ძე პანაიარიოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 340 1—1

დაიკარგა პასპორტი № 1119 ნერსეს კარაპეტის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 342 1—1

დაიკარგა მოწმობა № 61 სიმონ გიორგის ძე მატოიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 349 1—1

დაიკარგა პასპორტი № 2161 გრიგოლი ივანეს ძე ტკაჩენკოს სახელზე, მიღებული გაგრის სამაზრო მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 315 3—3

დაიკარგა პასპორტი სპირიდონ მიხეილის ძე კობრეიძის სახელზე, მიღებული ს. იანეთის საერობო თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 336 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი წავკისის № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გიორგი ერმიშევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 337 1—1

დაიკარგა ჯარში გასაწვევ ვადიანი მოწოდების მოწმობა № 218 გიორგი სიმონის ძე დეკანოზიშვილის სახელზე. მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 344 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 სექტემბერს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ვარლამ სიმონის ძე ჯუმაძის მიერ ზინზე ბიოოს ძე ნულეისკ რისადმი და ვარლამ ილიას ძე ახვლედიანისადმი ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში $^{2}/_{3}$ ნაწილი $^{1}/_{3}$ ადგილით ზომით ჩრდილოეთით $6^{1}/_{3}$ საჟ. სამხრეთით $4^{1}/_{3}$ საჟ. აღმოსავლეთით 30 საჟ. დასავლეთით 30 საჟ. 3956 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 28 სექტემბერს 1920 წ. დამტკიცდა 14 აპრის 1917 წელს შესრულებული ნასყიდობა მიცემული დავით სისოს, იგივე სიმონისძე გავტაძის მიერ, ივანე ივანეს ძე ვანდერტალენზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე სოფელ იცხვისში, შორაპნის მაზრაში, $^{1}/_{3}$ უფლები ორ ნაკვეთ მიწაში დედა მიწის წიაღისა ზომით 1 ნაკ. № 821 სახელწოდებილი „ნასელარი“ ზომით 1800 კვად. საჟ. II ნაკ. № 824, სახელწოდებული „დიდიტყის ბოლო“, ზომით 70 კვად. საჟ. 3956 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ფოთის ნოტარიუსისაგან 31 ივლისს 1920 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე მიხეილ ბესარიონისძე ესაკიას მიერ რომელიც ეკუთვნოდა ფოთის საურთიერთო ნდობის ბანკს. მდებარე ქალ. ფოთში კაპარჯინის და ეკლესიის ქუჩის კუთხეში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 908 ოთხკ. საჟ. 39561 1—1

ქუთაისის ოლქის სასართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 30 სექტემბერს 1920 წ. დამტკიცდა 15 აგვისტოს 1920 წელსა შესრულებული ნასყიდობა მიცემული ალექსი დიომიდეს ძე ხუბუტიას ძე და ფილიპე მიქელის ძე სერიას მიერ, დიმიტრი პაპუს ძე კვირკველიაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ახალსენაკში, ბარათაშვილის და ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეებში შენობით ზომით 120 ოთხ. საჟ. 3956 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული გაუტანელი ბაგაჟი და უსაბუთო ტვირთი გაიყიდება ცენტრალ საწყობში თებერვლის „7“ დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ გაიყიდება „8“ თებერვალს ა. წ.

ბათომიდან—ბორჯომი № 40520—1 ფ. 20 გ., ტფილისი—გომი № 24373 5 ფ. 30 გირ.; ქსნიდან—ტფილისი № 17827—4 ფ. 20 გ.; ქიათურა—ტფილისი № 26879—1 ფ. 30 გ.; ბათომი—ტფილისი № 47962—1 ფ. 20 გ.; ყარაიაზი—ტფილისი № 12536—2 ფ. 10 გ.; ქუთაისი—ტფილისი № 62987—1 ფ. 20 გ.; საჯავახო—ტფილისი № 20033—2 ფ. სამტრედია—ტფილისი № 138026—4 ფ. 15 გ.; სანაინი—ტფილისი № 14221—30 გირ.; საღოლდი—ტფილისი № 4158—1 ფ. 20 გ.; ბათომიდან—ტფილისი № 44813—25 გირ.; სამტრედია—ტფილისი № 141931—3 ფ.; გორი—ტფილისი № 94861—8 გ.; სადახლო—ტფილისი № 17375—4 ფ.; ხაშური—ტფილისი № 4535—3 ფ. 30 გ.; ნატანები—ტფილისი № 23892—4 ფ. 30 გ.; ბორჯომი—ბათომი № 62537—34 გ.; ტფილისი—ბათომი № 20489 1 ფ. 30 გ.; ლანჩხუთი—ბათომი № 14525—15 გ.; ტფილისი—ბათომი № 22644—20 გ.; ქიათურა—ბათომი № 26355—35 გ.; სანაინი—ბათომი № 14184—5 ფ. 35 გ.; ახალ-სენაკი—ბათომი № 76390—1 ფ. 20 გ.

უსაბუთონი.

სამტრედია—ტფილისი № 284034 ფქვილი ხორბ. 4 ფ.; ხაშური—ტფილისი № 256370 ძველი რკინები 2 ფ.; ზესტაფონი—ტფილისი № 47938 მრგვალი კუნძები 150 ფ.; ბათომი—ტფილისი № 71251 რკალები (ბანდაჟი) 511 ფ.; ნოტანები—ტფილისი № 23568 ლურსმანი 98 ფ. 25 გ.; სანაინი—ტფილისი № 11284 ნაპოვნი—16 გ.; ქუთაისი—ტფილისი № 66446 ლობიო 4 ფ. 29 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის თებერვლის „4“ დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ გაიყიდება „5“ თებერვალს ა. წ.

გურჯაანიდან—ტფილისში № 2036 ახალის ტალახი 5 ფ. 20 გ.; გამომგზავნი და მიმღები ი. დოლაბერიძე. წნორის წყლიდან—ტფილისი № 1847 კასრი ცარიელი გამომგზავნი დავიდოვი—ამხ. ფორუმი—8 ფ. 20 გ.; ტფილისიდან—შორაპანი № 617343 ფუთი ცარიელი თურმანიძე 4 ფ.; საჩხერიდან—ტფილისი № 3489 ყუთი ცარიელი ბაქრაძე—იგივე 5 ფ. 10 გირ.; ქუთაისიდან—ტფილისი № 65791 კირი დაუწვავი გოცირიძე—შინკარევი 6 ფ. 25 გ.; ქუთაისიდან—ტფილისი № 65533 თიბა ლორდქიპანიძე—92 ფ. 20 გირ.; ტფილისიდან—ქარელი № 611489 ლიმონადი ვეფხვაძე—კოჩიაშვილი 5 ფ.; თელავიდან—ნავთლუხი № 714 თანაქები ცარიელი კანტორა „შრომა“—ვერიშევი 9 ფ. 29 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. [illegible]